განკარგულება:**g-31. 31241174**
თარიღი:**26/04/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №22

2024 წლის 26 აპრილი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო ფასის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 38-ე მუხლის შესაბამისად დასასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 06 ივლისის N004697023 დასკვნის საფუძველზე,

მუხლი 1. განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (სატრანსპორტო საშუალება ავტომობილ SKODA OCTAVIA - სახელმწიფო ნომერი FF-535-FG, გამოშვების წელი 2006 წ. საწყისი საპრივატიზაციო ფასი - 4500 ლარი) განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება, იგივე პირობებითა და შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით. ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შემცირდეს 75% - ით და განისაზღვროს 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარის ოდენობით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი